ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 55

ქალაქი ქუთაისი 28 დეკემბერი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის
ბიუჯეტის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის, 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 91–ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 77–ე მუხლის მე–7, მე–8, მე–9, მე–10 პუნქტებისა და 78–ე მუხლის მე–2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განიხილა რა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს**:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დანართი №1–ის შესაბამისად.

(დანართი №1 დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართი №2–ის შესაბამისად.

(დანართი №2 დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 3. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 31.12.2021, №190020020.35.123.016597).

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1–ლი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
მას. № 76
30 12 2022 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო